ხელშეკრულება №9

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ჩოხატაური **16 იანვარი 2024 წელი**

ერთი მხრივ, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი მერის **დავით შარაშიძის** სახით და მეორე **მხრივ, შ.პ.ს. გაზეთი ,,ალიონი" (საინ.კოდ 237074535), დირექტორის ნუგზარ ასათიანის სახით** (შემდგომში „მიმწოდებელი") სახელმწიფო შესყიდვების კანონის და სახ. შესყიდვების სააგენტოს თავმდომარის ბრძანება N13-ის მე-2 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

დაფინასნების წყარო: ადგილობრივი ბიუჯეტი

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურება მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. „საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

შესყიდვის ობიექტი: --- **მუნიციპალიტეტისათვის 20 ეგზემპლარი ,,ალიონი"-ს გამოწერა წლის ბოლომდე (20X2,66X12=638,40)**

(CPV –22200000, 22210000)

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **638,40 (ექვსასოცდათვრამეტი ლარი და 40 თეთრი) ლარი.**
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში წინასწარი ანგარიშსწორებით.
4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საფინანსო დოკუმენტების (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან/და ინვოისი ან/და ზედნადები) საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით შესაბამისი სამსახური.

6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1 **საქონლის** მიწოდება განხორციელდება: ჩოხატაური, წერეთლის ქ. N2.

6.2. **საქონლის** მიწოდება განხორციელდება **2024 წლის 16 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია საქონლის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

8.2. ხელშეკრულების 8.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით შესაბამისი სამსახური.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

9.2. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლემოსილია ხელშეკრულების ვადის გასვლის პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების გამო შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 5%-ის ოდენობით.

9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები

შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ

10.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდშ წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების შესრულებისა და მოქმედების ვადები

12.1 ხელშეკრულების შესრულების ვადაა 2024 წლის 16 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

12.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2024 წლის 16 იანვრიდან 2025 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი
ს.კ. 242008705
მის: ჩოხატაური, წერეთლის ქ. N2
ტელ: 577952055
სახელმწიფო ხაზინა
მუნიციპალიტეტის მერი:
დავით შარაშიძე

chokhatauri municipality

Digitally signed by chokhatauri municipality
Date: 2024.01.16 12:13:54 +04'00'

„მიმწოდებელი“

შ.პ.ს გაზეთი „ალიონი“
საინ/კოდ 237074535
ს.ს. ლიბერთი ბანკი
ანგ. №GE98LB0111199824394000
დირექტორი: ნუგზარ ასათიანი

Nugzar Asatiani

Digitally signed by Nugzar Asatiani
Date: 2024.01.16 12:12:38 +04'00'

სახელწოდება	ინვოისი

შპს გაზეთი ,,ალიონი"

თარიღი: 16 იანვარი 2024 წელი

ნომერი:

ს/კ: 237074535

მისამართი:

ს.ს ლიბერთი ბანკი

LBRTGE22

ანგარიშის ნომერი: GE98LB0111199824394000

მიმღები

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი

ს/კ: 242008705

N	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთ. ღირ	თანხა (ლარი)
1	20 ეგზემპლარი ,,ალიონი"-ს გამოწერა წლის ბოლომდე (20X2,66X12=638.40)	12 თვე	53.2	638.4
	სულ			638.4

ფირმის დასახელება

შპს გაზეთი ,,ალიონი":-ს დირექტორი: ნუგზარ ასათიანი

ნ. ასათიანი